

რეცენზია მონოგრაფიაზე „ციფრული ეკონომიკა ფინანსურ ინდუსტრიაში“

ავტორების გიორგი ცაავას და ანი ბიბილურის მონოგრაფია „ციფრული ეკონომიკა ფინანსურ ინდუსტრიაში,“ ეხება საინტერესო და აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ციფრული ტრანსფორმაციის თემები. ავტორების მიერ ჩამოყალიბებულია ქვეყნის ფინანსური სექტორის ციფროვიზაციის ახალი შესაძლებლობები, ასევე გაანალიზებულია რისკები და ციფრული ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ ფინანსურ სფეროში არსებული აქტუალური და სადისკუსიო საკითხები.

მონოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორც არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გზაზე ახალი ციფრული ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვას, მათი პრაქტიკულად გამოყენებას, რისკების გაანალიზებას და საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობას.

მონოგრაფია შედგება შესავლის, თხუთმეტი თავის (ლექციის) და გამოყენებული ლიტერატურისგან.

შესავალში მიმოხილულია, ქვეყანაში არსებული რეალობა ციფრულ სამყაროში ადაპტაციის გზაზე. ჩამოყალიბებულია ფინანსურ სამყაროში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის არა მარტო ახალი შესაძლებლობები არამედ რისკები, რომლებიც ყალიბდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პარალელურად. შესაბამისად ავტორები იკვლევენ: ფინანსური სფეროს ციფრული ტრანსფორმაციის საკითხებს და საკანონმდებლო რეგულირების შესაძლებლობების განსაზღვრას.

აღნიშნული თხუთმეტი თემა (ლექცია) მოიცავს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს როგორიცაა:

- ◆ ციფრული ეკონომიკა: გარიგებების სამყარო შუამავლების გარეშე.
- ◆ ექსპერიმენტალური სამართლებრივი რეჟიმები ცირული ეკონომიკის პირობებში.
- ◆ ციფრული ეკონომიკა რისკები და შანსები ქვეყნისათვის.
- ◆ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების დანერგვის სამართლებრივი ასპექტები ფინსექტორში.
- ◆ ციფრული რეგულირება ციფრულ ეკონომიკაში როგორც გარღვევითი განვითარების პირობა.
- ◆ კოლექტიური დაფინანსება ციფრული ეკონომიკის ეპოქაში.
- ◆ ციფრული ეკონომიკის ზოგიერთი აქტუალური ასპექტები ფინანსურ სფეროში.
- ◆ ფინანსური ორგანიზაციების ურთიერთქმედება ელექტრონულ სახელმწიფოებრივ სერვისებთან: შედეგები და პერსპექტივები.
- ◆ რეგიონალური ბანკების როლი ციფრულ ეკონომიკაში.
- ◆ პერსონალური მონაცემების სამართლებრივი დაცვის პრობლემები ფინანსურ სფეროში
- ◆ ციფრული ტექნოლოგიები ფინანსურ სფეროში ეთგო ქვეყნების გამოცდილება.
- ◆ სადაზღვევო მომსახურების ტრანსფორმაციის სამართლებრივი ასპექტები ციფრულ ეკონომიკაში.
- ◆ კრიპტოვალუტები და კრიპტოაქტივები: სამართლებრივი და სამართალგამოყენებითი პრაქტიკა.
- ◆ ქვეყნის იურისდიქციული კონკურენტულობის უზრუნველყოფა მონაცემების ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში.
- ◆ საქართველოს ეროვნული ბანკის განაცხადი ახალი ფულადი ერთეულის „ციფრული ლარის“ შექმნასთან დაკავშირებით.

ავტორების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გათვალისწინებით თითოეული თემა სიღრმისეულად არის განხილული. საკითხების მიმართ დაფიქსირებულია საკუთარი პოზიცია, დისკუსიის აუცილებლობა, მოსალოდნელი რისკები და ციფრული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები ფინანსურ ინდუსტრიაში.

მნიშვნელოვანია, რომ მონოგრაფიის ფარგლებში ქართულენოვან ლიტერატურაში პირველად გვხვდება ბლოკჩეინ ტექნოლოგიების, ამ ტექნოლოგიაზე დამყარებული კრიპტოვალუტების, სმარტ-კონტრაქტების, ციფრული ფულის როგორც ფინანსური ბაზრის ახალი მონაწილეების, ICO როგორც ინვესტირების ახალი ხერხების, ციფრული ფინანსური აქტივების დაბეგვრის საკითხების ასეთი მასშტაბური განხილვა.

არსებული რეალობის გათვალისწინებით მონოგრაფიის ფარგლებში სრულყოფილად არის განხილული ციფრული ეკონომიკის შემოსვლა ფინანსურ ინდუსტრიაში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული საკითხები და ტერმინოლოგია მოითხოვს დაზუსტებას. ასევე კარგი იქნებოდა ციფრული ეკონომიკის დანერგვის, განვითარების შესაძლო რისკების და საკანონმდებლო ცვლილებების შესადაარისობა ყოფილოყო არა რუსეთის არამედ ჩვენი კალიბრის ევრიპული ქვეყნების მაგალითზე.

წარმოდგენილი მონოგრაფია აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას რომელიც ამ ტიპის ნაშრომს შეიძლება წავუყენოთ, ის შეიცავს როგორც ფინანსური სამყაროს მეცნიერულ სიახლეებს ასევე პრაქტიკულ რჩევებს და ავტორთა მოსაზრებებს, რომელიც შეიძლება იქნას გამოყენებული ქვეყნის ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის გზაზე. განხილული საკითხები ასევე იქნება სასარგებლო საკანონმდებლო საქმიანობაში ციფრული ეკონომიკის სამართლებრივი ბაზის ფორმირებისათვის.

მონოგრაფია აქტუალურია როგორც ეკონომიკისა და ფინანსების მიმართულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის ასევე ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლებისა და პრაქტიკოსი ფინანსისტებისათვის.

ეკა ავალიანი

სტუ-ს ეკონომიკის პროგრამის დოქტორანტი

სტატიის გაფორმების წესები

1. სტატია წარდგენილი უნდა იყოს ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენაზე. ის არის ავტორის (კოლექტიური) კვლევების შედეგი.
2. სტატიის მომზადებისთვის სავალდებულოა პირველადი წყაროების მითითება, რომლებიც წარმოადგენს ბოლო 5-7 წლის განმავლობაში გამოცემულ ლიტერატურას.
3. ტექნიკური მოთხოვნები სტატიების დიზაინისთვის: ველები ყველა მხრიდან 2.0 სმ. შრიფტი Sylfaen- 11, ინტერვალი 1.5. ცხრილებში და ნახაზებში კეგელი 9.

სტატიის სტრუქტურა:

1. სათაური - ლაკონური, ზუსტი.
2. ინფორმაცია ავტორების შესახებ - სახელი, გვარი, დანესებულების დასახელება, ქალაქი, ქვეყანა, ელექტრონული ფოსტა.
3. რეზიუმე ინგლისურ ენაზე (მაქსიმუმ 1000-1200 სიმბოლო),
4. საკვანძო სიტყვები (4-5 სიტყვა).
5. შესავალი
6. სტატიის მიზნები
7. მეთოდები-ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდებია: ისტორიული ანალოგების, ანალიზის, მოდელირების, ექსტრაპოლაცია, აბსტრაქციის, ინდუქციის და დედუქციის, შედარების, განზოგადების, სისტემატიზაციის და ფაქტების ინტერპრეტაციის მეთოდები.
8. ძირითადი ტექსტი
9. დასკვნები. კვლევის შედეგების ლაკონური შინაარსი.

სტატიები გამოქვეყნებამდე უნდა შემოწმდეს ანტიპლაგიატის პროგრამაზე. პლაგიატის არარსებობაზე შემოწმება ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მაგალითი:

1. სიჭინავა ა., ცაავა გ., (2016). უძრავი ქონების ბაზრის ტენდენციები, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2019 წლის N1, 33-40.

ჟურნალი ფასიანია და შემოსავლის წყარო საავტორო გადასახადია, რომელიც დამოკიდებულია გვერდების რაოდენობაზე. ავტორის მიერ გამოგზავნილი თითოეული გვერდის ღირებულება 10 ლარია, დამატებული დღგ 18%.

საბანკო რეკვიზიტები:

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში: სახაზინო კოდი 708977259
შიფრი 155